სამშაბათი, 1919 წ. იანვრის 7 № 5
წელიწადი მეხუთე

სამშაბათი, 1919 წ. იანვრის 7 № 5
ფასი თბილისში და პროვინციაში 1 მან. რკ. გზის სადგურებზე 1 მან.

# საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

კონტორა

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირება—40 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 15 მანეთი. ცალკე № 1 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. 50 კ. უკანასკნელზე—1 მ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 25 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს [illegible] საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 საათიდან 3 საათამდე.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15--73

## უკანასკნელი ცნობები

სამი დღის კამათის შემდეგ პარლამენტმა დროებით ზავის პირობები მიიღო.

ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა საგანგებო მისია, რომელშიც პარლამენტის წევრნი შედიან.

გუშინ თბილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ქალაქის ქუჩებში უმოწმობო სომხობას აპატიმრებდნენ.

ფოთიდან თბილისში 600 ინგლისელი ჯარის კაცი ჩამოვიდა.

[illegible]

უკრაინელებსა და პოლონელთა შორის შეტაკებაა.

პარიზიდან იუწყებიან რომ ვილჰელმი მოჰკლეს.

ოთხ იანვარს დილით 3 საათზე გარდაიცვალა

ნიკოლოზ სოლომონის ძე

კურატაშვილი

რასაც ულრმესის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის მეუღლე სონა შვილებით და ძმა გიორგი სოლომონის ძე მეუღლით კურატაშვილები. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე. გამოსვენება ოთხშაბათს 8 იანვარს საკუთარი სახლიდან (პანსევიჩის ქუჩა № 28) დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე.

1—2007—1

სახელმწიფო თეატრი

საოპერო დასი ს. ი. ევლახოვისა

სადღესასწაულო რეპერტუარი.

ოთხშაბათს, 8 იანვარს,

დილით — რუსალკა | საღამოთი — რომეო და ჯულიეტა

ხუთშაბათს, 9 იანვარს,

დილით — კარმენი | საღამოთი — ქიდოვკა

შაბათს, 11 იანვარს, საღამოს

ფაუსტი

დასაწყისი დილის წარმოდგენისა 12 ს., საღამოს წარმოდგ. 7 ს.

ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

„საქართველო“

1919 წელ. | წელიწადი მეხუთე | 1919 წელ.

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიულ მიმართულებისა. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთში უახლოეს თანამშრომლობას ეწევიან ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

მორიგ მასალის გარდა 10 იანვრიდან გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის [illegible] ისტორიული

რომანი „ტრფობა წამებული“ რომანი

გაზეთის ფასი:

წლით—150 მან., ნახევარი წლით—75 მან., სამი თვით—40 მან., ერთი თვით (მხოლოდ თბილისში)—15 მან.

ხელის მომწერს, რომელიც გაზეთის ფასს გარდა კიდევ 10 მანეთს შემოიტანს, მიეცემა წლის ბოლომდე

გერონტი ქიქოძის წიგნი ეროვნული ენერგია

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგრამის მისამართი: თბილისი „საქართველო“. ტელეფონი—15—73. კონტორა ღიაა დილით 9—3 ს.

## ზავი

ჩვენ წინააღმდეგი ვიყავით ომის შეჩერებისა. როგორც პრესაში, ისე პარლამენტში ამოვსწურეთ კიდეც ის საბუთები, რომელთა მიხედვით შეუძლებლად მიგვაჩნდა მთავრობის მიერ შემუშავებული დროებითი ზავის პირობების მიღება. მაგრამ ახლა, როცა უმაღლესმა საკანონმდებლო დაწესებულებამ, სამი დღის ცხარე კამათის შემდეგ, ეს პირობები დაადასტურა, ვალდებულნი ვართ მიუკერძებლად ავსწონოთ და დავაფასოთ ორი კვირის ომისა და გამარჯვების შედეგები.

ჩვენ ყველანი თანახმანი ვართ იმაში, რომ ამ ომიდან საქართველო ბრწყინვალედ გამარჯვებული გამოვიდა. მართალია ჩვენი ლაშქრის ტალღები შეჩერდა ლორის ქედის კალთებზე და თვით სომხეთის ზეგანი აღარ გადალეკა. მაგრამ ჩვენი გამარჯვების ღირებულება მარტო ვერსტობით არ განიზომება.

თითქმის ყველა სადაო საკითხები ფაქტიურად ჩვენდა სასარგებლოდ გადაწყდა. რასაკვირველია ჩვენ სომხეთს ვედავებოდით ბამბაკის ხეობასა და ლორის ველსაც, რომელიც ახლაც სომხის ჯარს უჭირავს, მაგრამ სამაგიეროთ მოწინააღმდეგე თბილისსა და თითქმის მთელს აღმოსავლეთ საქართველოს გვედავებოდა. ეკატერინეფელდისა და შულავერის გამარჯვებით ჩვენ მოვიგეთ საუკუნოებრივი ბრძოლა თბილისისათვის, რომელიც თითქმის არ შემწყდარა ჩვენი დედა ქალაქის დაარსების დღიდან და რომელსაც ბოლო დროს შეკავშირებული რუსები და სომხები აწარმოებდნენ გუშინ კიდევ თბილისი ნამდვილი ინტერნაციონალური ქალაქი იყო, სომხებისა და რუსების პრეტენზიებს გასამართლებელი საბუთი ჰქონდა ფაქტიურს ურთიერთობაში. დღეიდან თბილისი ნამდვილი ქართული ქალაქია. როგორც დავით აღმაშენებელმა არაბებს, როგორც მეფე ერეკლემ სპარსელებს ისე ქართველმა დემოკრატიამ რუს-სომხების შეერთებულ ჯარებს ხელიდან გამოგლიჯა კავკასიის პოლიტიკური და კულტურული ცენტრი, ურომლისოთ შეუძლებელია დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა.

ჩვენ ჯერ კიდევ სათანადო პერსპექტივა არ გვაქვს, რომ სამართლიანად დავაფასოთ სომხეთ-საქართველოს ომი. მაგრამ შემდეგი თაობები ისევე მადლობით მოიხსენებენ ეკატერინოფელდისა და შულავერის გმირებს, როგორც ჩვენ ასპინძის ან კრძანისის გმირებს ვიხსენიებთ. სომხობა ჩვენთვის ძლიერ საშიში იყო როგორც სახელმწიფოს დამშლელი ელემენტი. ოსმალები და სპარსელები მოდიოდნენ, ქვეყანას არბევდნენ და უკანვე მიდიოდნენ. ეს ხალხი პირიქით საუკუნოების განმავლობაში ჩვენ ტერიტორიაზე იყო დაბანაკებული და ხრავდა ჩვენი ეროვნული ორგანიზმის ხერხემალს. არც მურვან ყრუს, არც ჯელალედინის და არც შაჰაბაზის ურდოებს ისეთი ზიანი არ მიუყენებია ქართული სოფლისა და ქალაქისთვის, რაც მას უსახელო სომხის ჩარჩების ლეგიონებმა მიაყენეს. ამით აიხსნება რომ სომხეთის თავდასხმამ ქართველ დემოკრატიაში გამოიწვია აღფრთოვანება და წინააღმდეგობის ძალა, რომლის მსგავსი შეიძლება ჩვენს ქვეყანას აღარ უნახავს გიორგი ბრწყინვალის შემდეგ.

ჩვენ წინათ გვიწარმოებია დიდი სარწმუნოებრივი ომები. დღეს დიდი ეკონომიური და პოლიტიკური ომი მოვიგეთ. წვრილმანმა დეფექტებმა არ უნდა დაგვაბრმავოს. ბეზობდალის ქედს იქით უნდა გავიხედოთ და დავინახოთ რომ ჩვენმა მოწინააღმდეგემ ფაქტიურად პირი იბრუნა ვანის ტბისაკენ. ამიერიდან კავკასია და საქართველო სინონიმებია როგორც ეს ჩვენი ისტორიის უბრწყინვალეს ეპოქაში ყოფილა. დემოკრატიის საქართველო ემზადება ხელახლა ხელში ჩაიგდოს წინააზიის ჰეგემონია, რომელიც დაჰკარგა მეფეების საქართველომ.

და რაც ყველაზე მეტად საყურადღებოა, ქართველმა ერმა უკანასკნელ ომში ენერგია დაზოგა მომავალი მიზნებისთვის. ჩვენ არ დაგვათრო გამარჯვებამ. ჩვენ არ წავბაძეთ იმ ევროპიელებს, რომელნიც დღეს ბრძოლის ველიდან ცოცხალ-მკვდარნი ბრუნდებიან. ჩვენი გამარჯვება არ არის პიროსის გამარჯვება. ზავი ჩამოვარდა მაგრამ ქართველობას ძალა შესწევს უფრო დიდი ომისა, უფრო დიდი გამარჯვებისათვის.

## პრესსა

სულ ახლო მომავალში პარიზში მოწვეული იქნება მსოფლიო სამშვიდობო კონგრესი, რომელზედაც, სხვათა შორის, საბოლოოდ გადაწყდება აღდგენილ, თუ ახლად წარმოშობილ სახელმწიფოთა ბედი. ყველანი გაფაციცებით ემზადებიან საერთაშორისო მაღალ კრებულისათვის, რომ კულტურულ კაცობრიობას თავისი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საჭიროებანი წარუდგინონ დასადასტურებლად დელეგაციის მზადებაშია ჩვენი მეზობელი რესპუბლიკა აზერბეიჯანიც. მისი მთავრობის ოფიციალური გაზეთი „აზერბეიჯან“-ი შემდეგ სტრიქონებს უძღვნის კონგრესს:

...ჩვენთვის ერთია ძვირფასი: არამპყრობელი ერები მპყრობელ სახელმწიფოთა უღლისგან განთავისუფლებულნი და დღეს კიდევაც თავისუფალნი და თვითმპყრობნი მიეშურებიან ამ კონფერენციაზე, რათა შეინარჩუნონ თავისი სახელმწიფოებრივი და ნაციონალური უფლებანი და დაიცვან ბრძოლით მოპოებული დამოუკიდებლობა და რაც უფრო სოლიდარული იქნება მათი გამოსვლა ამ საკითხებში, მით უფრო ადვილად მიაღწევს საერთო მიზანს...

...არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა ცხოვრების პირობები და პოლიტიკური კონიუნქტურა არ ეგუებიან განსაზღვრულ და ცოტად თუ ბევრად შეურყეველ ანალიზს, ჩვენს დელეგაციას არ ექნება გადაჭრილი ინსტრუქციები და სამოქალაქო პროგრამმა.

ჩვენ შეგვიძლიან მხოლოდ ერთი რამ ვთქვათ გარკვევით: ჩვენი დელეგაცია უნდა აღჭურვილი იყოს შეუდრეკელის რწმენით, რომ წარსულის დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. ჩვენი ქვეყანა უნდა დარჩეს დამოუკიდებელი და უნდა მიიღოს შეძლება, დაამყაროს მეგობრული კავშირი მხოლოდ იმ დიდ სახელმწიფოებთან, რომელნიც უმეტესად დაიცავენ ჩვენს ეროვნულ უფლებებს.

ამ საკითხში დათმობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს“...

## პროფესორი ცაგარელი

ახალი წლის წინ დღეს რედაქტორის კაბინეტში შემოვიდა უჩვეულო მოხუცი.

— პროფესორი ცაგარელი.

გაეცნო რედაქტორს და დარწმუნებული, რომ ეს სახელი გულისხმობდა ყურადღებას, პირდაპირ გადავიდა საუბარზე.

მაღალ პროფესორს ეცვა რუსული შუბა და [illegible] მაგვარი ქუდი—ეს ტანისამოსი [illegible] მიჩვეულია პეტროგრადის ყინვას და ეს ყინვა სურნელებათ დადგა კაბინეტში. როცა გამოერკვევით მის ლაპარაკს ჰგონიათ, რომ ეს კაცი მოსულია ცივ უფრო ქვეყნიდან—ვინმე ჩრდილოეთის პოლიუსი და პეტროგრადი და მაღალ ფიგურის იქეთ იყურება ძველი საქართველო რომელსაც ის წარმოადგენს, როგორ ფიქრით ისე ტანით. ასე საუბრობს ხოლმე ადამიანი, რომელსაც მოსწყინდა ქვეყანა და გულგრილობაში ელაპარაკება მხოლოდ თავის თავს.

მე მომაგონდა უკანასკნელ სხდომებზე საქართველოს პარლამენტში ეს შეხვედრა.

როცა თანამედროვე ქართველები ერთმანეთს ეკამათებიან და დღიური ფაქტი დემაგოგიის პილპილებით იზელება და ახალი მინისტრები, რომელთაც ჯერ კიდევ ელანდებათ ნაცნობი ფარაონები უჩვეულო ქინით დღესასწაულობენ გამარჯვებას, მათი ოპოზიციაც პარლამენტში მემარჯვენე სექტორით გაისაზღვრება, მაგრამ არის მეორე ოპოზიცია

ოპოზიცია კულტურისა, ისტორიის [illegible]ლოგიკის, სახეთა ცვლის და ბიოლო[illegible] პლასტისა და ამ კულტურის [illegible]ციიდან არის პროფესორი ა. [illegible] ცაგარელი.

— მე რა უნდა მქონდეს ვისიმე წინააღმდეგი, მე ჩემი გზა გავიარე, ამბობს მოხუცი, მე ვფიქრობდი საქართველოზე და დამიწერია ჩემი ნააზრევი. ყველა ვინც დასწერს შემდეგ საქართველოზე უნდა სარგებლობდეს ამ

7

წიგნებით, როგორც აქამდი სარგებლობდენ. მე ვერ გამიგია, როგორ უნდა დაიცვან სახელმწიფოს იდეა იმ სოციალისტებმა, რომელნიც აქამდე ეწინააღმდეგებოდენ ამ იდეებს; ხომ შეუძლებელია ასე მალე განათებულიყო მათი გონება და საქართველოს შეგნება გამტკიცებულიყო? ან სად არის აკადემიის პატენტი, რომელიც უთუოდ საჭიროა.

ქართულ გაზეთში სწერენ კიდეც, რომ იმ დელეგაციის წევრებმა, რომელნიც პარიზში მიემგზავრებიან ევროპიული ენები არც კი იციან, რა უნდა სთქვან მათ, ანდა რას ეტყვიან მათ?!..

ეხლა კი წყდება საქართველოს ბედი. საქართველოს აქვს პრეტენზია არა მარტო ლაზისტანზე, არამედ ტრაპეზონზეც, დაიცავენ კი ამას ის ხალხი, რომელიც ბორჩალოსაც ვერ პატრონობს და ხელიდან უშვებს. ახალციხე—საქართველოს მაღალი ცა არის, ეს ბასეინია ჩვენი წარსული და მომავალი კულტურის—თუ ეს ბრ იქნა საქართველოსთვის შენარჩუნებული, ყველაწავა ხელიდან..,

ამ საუბარში ჩნდებიან სახ...ი, სახეები, წიგნები უკვე დავიწყებული და როგორც გრიგალში ტრიალობს:

პროფესორი ბარონ ნოლდე, კათალიკოზი კირიონი, ერეკლე მეფე, ნიკოლაძე, ობერპროკურორი ლვოვი, აკადემიკოსი მარრი და რამდენი სხვა.

და ყველაფერი ეს იშლება იმ პერგამენტზე, რომელსაც საქართველო რუსეთის 1783 წლის სახელმწიფო ტრაქტატი ჰქვიან.

მე ავათ ვარ, ჩამოვრჩი საქართველოს ვწამლობდი სხვაგან, ამბობს მოხუცი, მაგრამ თვითონვე გრძნობს, რომ საქართველოს ის ვერ მოსცილდება, რადგან საქართველო მის სულშია.

რომ დაიცვას თავისი თავმოყვარეობა, რომელსაც მოხუცობის ეჭვიანობა ეპარება—ა. ცაგარელი იგონებს რომ ის ჯერ კიდევ ითვლება პეტროგრადის უნივერსიტეტის პროფესორათ, და ოფიციალურათ მოკლებულია საზ. მონაწილეობა მიიღოს საზღვარგარეთის დელეგაციაში — რასაკვირველია მოხუცმა იცის, რომ რევოლიუციის შემდეგ ძალიან გამოიცვალა შეხედულება ოფიციალურ უფლებაზე.

ამ საუბრის და შეხვედრის აწერა არ შეიძლება, ამას მხოლოდ უშუალო ინტერესი აქვს.

***

იქნება პარიზის დელეგაციის ინიციატორებმა გაიგონ დამსახურებული პროფესორის ალექსანდრე ცაგარლის მისამართი. ეს გამოადგება ბევრნაირად, იქნება საჭირო გახდეს მისი დელეგაციაში წასვლა. ალბად კიდევ იქნება ადგილი დელეგაციაში, „ბორბას“ რედაქციის წითელი ებრაელი ვერ გასწევს ცაგარლის მაგიერობას...

**ვარამ გაგელი.**

## სომხეთის რესპუბლიკის წარმომადგენელი პაჩაზნუნს ერევანში

დიდი ბრიტანიის გენერალ-მაიორი რაიკროფტმა, რომელიც ამ ჟამად თბილისში იმყოფება და პოლკოვნიკმა მარდინიმ, რომელიც საფრანგეთის მისიის სათავეში დგას, საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელთან ბ-ნ ჟორდანიასთან ერთად საერთო თათბირზედ, ბ-ნ ჯამალიანის თანდასწრებით, დაადგინეს: დაუყონებლივ შეწყვეტილ იქმნას სამხედრო მოქმედება.

მიუხედავათ ბ-ნ ჯამალიანის პროტესტისა, გენერალმა რაიკროფტმა, პოლკოვნიკმა მარდინიმ და საქართველოს რესპუბლიკის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ბ-ნმა ჟორდანიამ დაადგინეს: რომ ფრონტზე, რაც შეიძლება ჩქარა უნდა გაემგზავროს ინგლისელებისა, ფრანგებისა ქართველებისა და სომხებისაგან შემდგარი შერეული კომისია რათა ცხოვრებაში გაატარონ შეთანხმების შემდეგი პირობები:

კომისია სწყვეტს იმ გარნიზონების რაოდენობას, რომელთაც დასტოვებენ ბორჩალოს მაზრის ჩრდილო ნაწილში ქართველები, სომხეთის ნაწილში,—სომხები და აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში ქართველები. გარნიზონებში მცირე რიცხოვანი იქნებიან. ქართველი ჯარები დადგებიან იმ ხაზზე, რომელიც ამ ჟამად უჭირავთ, სომხის ჯარებმა უნდა დაიხიონ ოსმალეთის ხაზამდე; დიხის-ჯალალ-ოღლი.

ბრიტანიის პიკეტები იდგომებიან რკინის გზის გასწვრივ იმ მანძილის სივრცეზე, რომელიც დარჩება ქართველ და სომხის ჯარებშუაა; ამ სადაო ნაწილში ადმინისტრაცია იქნება შერეული:

ახალქალაქის მაზრაში საქართველოს ადმინისტრაციას მეთვალყურეობას გაუწევს მოკავშირეთა კომისია, რომელშიც შევლენ ადგილობრივ სომხისა და მაჰმადიან მცხოვრებთა წარმომადგენელნი.

საქართველოს და სომხეთის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მოკლე ხანში ევროპაში იქნებიან გაგზავნილნი, სადაც ყველა საკითხი საზღვრის შესახებ გადაჭრილ იქნება დიდ სახელმწიფოებთან.

ნამდვილზე ხელს აწერენ: **რაიკროფტი, [illegible].**

თბილისი 25 ქრისტ. 1918 წ.

## მთავრობის სხდომები

30 ქრისტეშობისთვის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

სასოფლო მილიცია დააკმაყოფილონ ჯამაგირებით რიგს გარეშე სახელმწიფო ხაზინიდან, ხოლო წინასწარ გაეგზავნოს ფინანსთა მინისტრს ყველა საჭირო ცნობები ამ ხარჯის გაწევის შესახებ.

1) თბილისის ქალაქის თვითმართველობასთან არსებული ლტოლვილთა განყოფილება გაუქმებულ იქნეს.

2) დაევალოს შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ ლტოლვილნი რომელნიც იმყოფებიან მე-300 ვერსზე, ან თვით ქალაქში და სხვა რაიონებში გაძევებულ იქნენ საქართველოს საზღვრებიდან.

დაევალოს განათლების მინისტრს მთავრობას წარუდგინოს ცნობები შესახებ იმ თანხისა, რომელიც საჭიროა უმაღლეს, დაწყებითი და საშუალო სასწავლებლებში მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის და ამ ცნობების მიხედვით განხილულ იქნეს კანონ პროექტი.

გაეხსნას ფინანსთა მინისტრს 10 მილიონიან ფონდიდან 16 ათასი მანეთის კრედიტი გადასახადთა და ხაზინის სამმართველოების გათბობა განათების ხარჯების დასაფარავად.

გაეხსნას სახაზინო პალატის მმართველს 10 მილიონიან ფონდიდან 2000 მანეთის კრედიტი. 1918 წლ. დასასრულამდე, სახაზინო პალატის და მის ქვემდებარე ხაზინების მოსამსახურეთა დასახმარებლად უბედურ შემთხვევაში.

პროექტი. ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის მინისტრისა საბჭოს დებულებისა გადაეცეს დასკვნისათვის სახელმწიფო კონტროლიორს.

ადერბეიჯანის რესპუბლიკას უარი ეთქვას საბუთების გადაცემაზე, რომელნიც ზაქათალის ოლქს შეეხებიან.

# საქართველო-სომხეთის ომი

**სამხედრო ხაველე შტაბისაგან.**

ქალაქში გავრცელებულია ხმები იმის შესახებ, ვითომ საომარი მოქმედება შეჩერებულიყოს. ამის გამო სამხედრო საველე შტაბი აცხადებს რომ ასეთი შემთხვევები არა ყოფილა.

## თუშების გმირობა

ბორჩალოს მაზრის დაჭერისას, სამაგალითო გმირობა გამოიჩინა, თუშების რაზმმა, თუშ ოფიცრის კოტე აბაშიძის მეთაურობით. ეს რაზმი შეადგენდა მეორე ცხენოსანი პოლკის მეორე ესკადრონის წყებას. ესკადრონს მეთაურობდა შტაბს-როტმისტრი თუთბერიძე, რომელიც აღტაცებული და გაკვირვებულია თუშების უმაგალითო ბრძოლით.

იმ იერიშების დროს, რომელითაც უკუქცეულ იქმნა მტერი სადახლოს რაიონში, თუშების რაზმი ყოველთვის წინ იყო, და თავისი მამაცობით აფრთოვანებდა მთელ ჯარს. ასეთმა სიმხნევის გამოჩენამ ბევრი სარგებლობა მიუტანა ჩვენს ჯარს როგორც მტრის განადგურებაში, ისე მრავალი ნადავლის ხელში ჩაგდებით. ოფიცერი აბაშიძე და ყველა მისი ჯარისკაცები შტაბ-როტმისტრ თუთბერიძის შუამდგომლობით წარდგენილი არიან უმაღლეს ჯილდოებზე.

**სადაო ადგილები.**

სომხეთ-საქართველოს შორის საზავო ტრაქტატში ნათქვამია საქართველოს შეუძლია ჯავახეთში იმდენი ჯარი შეიყვანოს, რამდენსაც ნებას დართავს შერეული კომისია. სომხების ჯარების შესახებ არაფერია ნათქვამი.

ამავე ტრაქტატის ძალით სადაო ადგილებში ბოლომდის რკინის გზა საქართველოს ხელში იქნება.

**თბილისის დამცველი რაზმი.**

გუშინ სიღნაღიდან თბილისში ჩამოვიდავიდა საგანგებო რაზმი 100 კაცისაგან შემდგარი, რომელნიც გენერალ-გუბერნატორს წარუდგა. რაზმი თბილისის დამცველად დარჩება.

**ს. ახალსოფლის სომხობა.**

ს. ახალსოფლის (გარედ-კახეთი) სომხობამ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: 1919 წ. 1 იანვარი. ჩვენ ამისა ქვემორე ხელის მომწერნი თბილისის მაზრის, ს. სართიჭალის რაიონის, ს. ახალსოფლის სომეხნი მივმართავთ გულის სიწრფელით საქართველოს უმაღლეს მთავრობას.

ერთი თანხმობით შემდგარ განაჩენით, ვითხოვთ რათა გვიბოძოთ ნება ომში გასვლისა, სადაც საქართველო ომობს სომხეთის წინაშე, რადგან თუ მოგვცემთ ნებას ჩვენი ცოცხალი თავით არა გვსურს საქართველოს ჩამოშორება. სულაც ვერ ვეთანხმებით სომხეთს, რ ა დ გ ა ნ და გაზდილი ვართ საქართველოში. ამისთვის ვითხოვთ თავმოხრით, რო ნუ ჩამოგვაშორებთ ჩვენს ძმებს ქართველებს და თუ გვიბრძანებთ ჩვენ მზად ვართ მტრის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე გასასვლელად, განაჩენზე ვაწერთ ხელს ახალსოფელში მცხოვრებელი სომხობა:

## საპარლამენტო ქრონიკა

**ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წინადადება მთავრობის მოხსენების შესახებ.**

მოისმინა მთავრობის მოხსენება სომხეთთან სამხედრო მოქმედების შეწყვეტისა და მასთან დადებულ დროებითი ზავის პირობების შესახებ, საქართველოს პარლამენტი აღიარებს:

სანამ საქართველოს ტერიტორია მუხანათურად შემოჭრილ მტრისაგან სავსებით გაწმენდილი არ იქნება, და მისი ბუნებრივი ისტორიული ზღუდეები აღდგენილი, საქართველოს მიერ სამხედრო მოქმედების შეჩერება ყოვლად მიუღებელია და მოითხოვს მთავრობისაგან სათანადო მოქმედებას.

# ქრონიკა

**საბერძნეთის კონსულის გარდაცვალება.** ამ დღეებში თბილისში საბერძნეთის კონსული ჩარლტონი გარდაიცვალა. ჩარლტონი გუშინ დაასაფლავეს. დასაფლავებას დიდძალი ხალხი დაესწრო. დაესწრენ საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წევრნი.

**საგანგებო მისია ერევნიდან.** ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა საგანგებო მისია, რომელშიც შედიან სომხეთის პარლამენტის წევრნი: გ. ტერ-ხაჩატურიანცი, ა. ხონთქარიანცი, ს. ხაჩატურიანცი დას. მამიკონიანცი.

**სომხების დატუსაღება.** კვირას, ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბნებში 2.000 სომეხი დაიჭირეს. ყველანი სომხების სემინარიაში წაიყვანეს. ვისაც ჰქონდა მოწმობა გენერალ-გუბერნატორისა თბილისში ცხოვრების ნებართვა გაანთავისუფლეს. დანარჩენს ქუთაისის გუბერნიაში. გაგზავნეს.

**საქალაქო არჩევნებისათვის.** ქალაქის აღწერა უკვე დამთავრდა. გრძელდება ამომრჩეველთა სიების შედგენა. ვინც სიებში არ მოხვდა, შეუძლია მიმართოს ცენტრალურ ბიუროს (სომხების ბაზარი № 62) ამასთანავე ყველას გარდა ქართველისა უნდა ქონდეს მოწმობა ქვეშევრდომობისა.

**შინაგან საქმეთა სამინისტროს რწმუნებულის მოხსენება** გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს ჯავახეთიდან დაბრუნებულ სამინისტროს რწმუნებულ ლტოლვილთა საქმეზე ალ. ლორთქიფანიძე მოხსენებით წარუდგა. როგორც მის მოხსენებიდან სჩანს 29 ღვინობისთვიდან, 4 იანვრამდე ბორჯომიდან ახალციხეში 10, ათასი სულ ლტოლვილი გადაუყვანიათ, რაც 90000 მან. [illegible] ახალციხეში შემდგარა ცენტრალური კომიტეტი რომელიც განურჩევლად ეროვნებისა ყველა ლტოლვილებს დახმარებას აღმოუჩენს. კომიტეტი ყოველდღიურათ ჰკვებავს 3500 სულს საიდანაც სომხები შეადგენენ 2500 სულს დანარჩენი ქართველები არიან. კომიტეტს დღემდე დაუხარჯავს 18.000 მ. მისი გამოანგარიშებით გადაყვანა და გამოკვება იმ ლტოლვილთა რომელნიც იქ არიან დაჯდება 500,000 მან.

**გამოვიდა** გამომცემლობა „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ გამოცემული შემდეგი წიგნები ფიზიკა ნათარგმნი ხუციშვილისა წიგნი სუფთათ არის დაბეჭდილი ფასი 14 მანეთი. აგრეთვე დედა ენა I ნაწილი ფასი 3—20 კაპ.

**ახალ პლაცკარტიანი მატარებლები.** 10 იანვრიდან დანიშნულია 2 პლაცკარტიანი მატარებელი. №9—10 თბილისიდან ქუთაისამდე და №11—12 ქუთაისიდან თბილისამდე. მოიხსნება პლაცკარტიანი მატარებელი თბილის-ფოთამდე №5—6:

ფოთში 3 იანვარს დამე ჩამოვიდა ინგლისელთა რაზმი 600 კაცისგან შემდგარი. მოელიან კიდევ ახალ რაზმებს. რაზმი თბილისს მიემგზავრება.

**სომხების დაჭერა.** კვირას, 5 ქრისტ. გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით თბილისის ქუჩებში მრავალი სომხობა შეიპყრეს, ხმა გავარდა ვითომც ეს გამოიწვია სომხების მიერ ბრძოლის ველზე დროებითი ზავის დარღვევამ. ხმები არ გამართლდა.

**ლატარია.** ლატარიის გამგედირექტორი სოლომონ ახვლედიანი მოკლე ხანში მიემგზავრება პროვინციაში ადგილობრივ ლატარიის კომიტეტების ნამუშევარის გასაცნობად.

**„ახალი ძალა“.** გამოვიდა მორიგი № 3 „ახალი ძალა“, რომელშიც მოთავსებულია მეთაურები: „ახალი წელიწადი“ და „ზავს აპირებენ“, „მეურნეობა“-მ. კიაზოშვილისა, ფელეტონი „საპროგრამო საკითხები“—ვას. წერეთლისა ლექსი და სხვა...

## პროვინციის ცხოვრება

**ბათუმი.**

ბათუმში გაიმართა ყრილობა, პროტესტთან ერთად დაადგინეს ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს ქართველმაჰმადიანთა წარმომადგენელთა რიცხვის გამრავლება. ამავე საქმის შესახებ ქალაქის საბჭოს წევრები ეროვნული საბჭოს მიერ იყვენ არჩეული და არა დანიშნული. ქალაქის თვითმართველობა მოკლე ხანში შეუდგება არჩევნებისთვის მზადებას. მიღებულია დროებითი მთავრობის დებულება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნებისა. გამგეობას ერთი თვის ვადა მიეცა ამომრჩეველთა სიების შესადგენათ. საჭიროა ამ ვადისათვის. ვისაც კი შეუძლიან ჩამოსვლა ჩამოვიდეს. წასვლა მოსვლის პირობები შეიცვალა, ყველასათვის გაადვილებულია.

**ფ ო თ ი**

ქალაქის ბარაკში გადამდებ სენით ავადმყოფთათვის გადიდებულ იქმნა 25 საწოლიდან 50 საწოლამდის. ეს რიცხვიც არ კმარა, ვინაიდან ავათმყოფთა რაოდენობა დღითი დღე მა-

## მასკარადი.

როს მეფდებიან სახლში ბინდები
და ფანჯრებს ეკვრის სიბნელის დამბლა
შენ ოქროს ჩარჩოს მაშინ სცილდები
და გადმოდიხარ კედლიდან დაბლა.

მე მოვრბი მაშინ შენთან იმ ბნელში
მკლავით ვესწრაფი მე შენსა წელსა
და მაგ ორ ხელში, ორ თეთრსა ხელში
მე მძლედ გიკოცნი მხოლოდ ერთ ხელსა.

მთრთოლვარე ტანსა გიმოსავს დიბა
გშვენიან გ...ზე ოქრო-მკედები,
მე სხვა შე... მეტი ვინ მომინდება—
თანაბრად ფეთქენ ივენი მკერდები.

და ჩემსა მხრებზე წვანან ეგ მკლავნი
ნებიერები მე და ღმერთისა
და ჩახვეულან ეგ დალალ-კავნი
ვით ჩუქურთმები ქაშუეთისა

ამ დროს ინთება სახლში ჭრაღები,
ვიღაც უჩინო იქ უკრავს დაირს,
მე დრო მიდგება გულის წამლები
და იწყებ ცეკვას შენ სულ სხვანაირს.

მე გიკრავ ტაშსა განთიადამდე
განთიადამდე მე გულს ვილონებ
მე ვთვლი სახელებს განთქმულს ათამდე
და შენ სახელს კი ვერ მოვიგონებ.

და მხოლოდ მაშინ როს ზარნი რეკენ,
იწყება ჟამი ავრორისათვის
შენი ფეხები აღარა ცეკვენ
და მიწვდი კვლავ ხელს ამბორისათვის.

და მსურს ვემთხვიო მეც შენსა თალხ ხელს
და ვხედავ, ვხედავ სიზმარს წახდენილს,
მე ვხედავ უცხო მოწყენილ სახეს
მაგ ბეჭდის თვალში უქმად ჩარჩენილს.

**შ. ა.**

## აქლემი

**სონეტი რკალიდან: „დიდი შუადღე“.**

აყუდებული. ულაზათო. ორკაუზიანი.
ცხუნე სივრცეთა კოშმარების უგვანო ბუში.
ყარამფილ-ივით მოალული ზანგელა ბურში.
უცხო. უთვისო. მატანტალა. შორიგზიანი.

ამპარტავანი. ნელი. დინჯი. თავაზიანი.
მოდუნებული მეოცნებე შორეთის მურში.
მორცხვი. კეკელა. მოალერსე. მუსუსი. მრუში.
გახუნებული: მაგრამ მაინც მარად მზიანი.

საოცარია შენი ზანტი მთქნარებით თვლემა—
მზის ახელებით რო მოთენთა უდაბნოს რთველმა.
ქიმერის თავის ღიმით უცქერ ალმურს კომლიანს:

თითქო გესუნთქვის არაბეთის ამწვარი ნარდი.
და უშნო ცოხნით ოდეს ერთვი მელანქოლიას,—
დორბლიან ტუჩზე გიობდება სამყაროს დარდი.

**გრიგოლ რობაქიძე.**

## დაისი მეხუთე

ლალის დაისში გაჩაღდება ავი ბაქარა,
თვით კალიოსტრო დირიჟორობს კარტის მაგიდებს,
თითებს უმშვენებს ფირუზები, ვით ძირმაგარა,
დაისის ჭინკებს ის ერთმანეთს გამოაკიდებს.

და პაგანინი ატირდება სკრიპკის პროფილით...
საყვარელ დაისს დამიფარავს მისი ყბაყურა,
და ჩემი ცქერა მირაჟებით უარყოფილი
ისევ მაღრიბის მალალურებს ემალალურა.

დაისის ჯანგში აჩრდილები დუელს სჭედავენ
და მორიელი ფრთამაღალი ჰკლავს ადამიანს,
მეწამულ კატებს შებრძოლებას ვერ უბედავენ,
დღე—ჯავაირჩი ეშურება ყვავებს შხამიანს.

უცბად გაჩნდება აშორდია ამპარტავანი
და კიდევ ერთხელ სათამაშოდ კარტს დაარიგებს,
მოულოდნელად გაშავდება ზეცის თავანი
და აჩრდილები გადისვრიან წყალში პარიკებს.

**ვალერიან გაფრინდაშვილი.**

## ეფემერი მასკარადი.

1

**ქალდეას ბალაგანი.**

ჩემი სამშობლო საქართველო სხვა თეატრია,
ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები.
გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია,
მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება.

ვხედავ მოდიან ზღვა ლანდებათ ბრძენი მაგები,
მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით.
აღარ მაშინებს ძვირფას ძმებთან სულის წაგება,
მუდამ ვთამაშობ ძველ პიესას განმეორებით.

იყო თამარი და ნაცნობი მისი სამება,
ამაზე იტყვის საქართველო მატიანებით.
მხოლოდ შენ ტანჯვას, კოლომბინა, და შენ წამებას
პიეროს მეტი არ იტირებს სხვა დანანებით.

ვერ ნახავ რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთგულოს
შენ განწირულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს.

2

**ბირგამის ტყე.**

ბირგამიის ტყე... ქალდეას ჩრდილი,
ლორდი პიერო მოლუნულ კუზით.
ლედი მაკბეტი პერანგ-გახდილი
გადამთვრალ სტუმრებს მუხლებზე უზით.
მოჰყავთ არტური ავათმყოფ ჭინკებს,
მოწყვეტილ ფეხით ჭიანურს უკრავს.
თავის მკვლელები ავსებენ ჭიქებს
და ულოცავენ ამაყ მოურავს.

ყვითელ მალაელს მისდევს პოლო
ფარშავანგებით შემოჭკრა ალყა
და ოფელიამ თვალი მოავლო
ვალერიანმა ჰამლეტს გაარტყა.
სდგება ტაძარი სახრჩობელაზე
ფეერიული და ეფემერი.
არვის ვენდობი... მაგრამ ყველაზე,
უფრო მაწვალებს სინაზით მერი
და კოლომბინას პლექის ხველაზე
შეატრიალებს კარს ნოემბერი...

**ტიციან ტაბიძე.**

ულობს. ძალიან გავრცელებულია ...მოსულ ქართველ სამხედრო ტყეებში ...ა ლტოლვილებში სახადი. არც ში...გან საქმეთა სამინისტროს ლტოლ...ლთათვის და არც სამხედრო ...ების საპიროებისათვის არა აქვთ ...ვისი ბარაკები. თუ სასწრაფო ზო...ბი არ იქმნა მიღებული ამ უწყებ...ს მიერ გამდამდები ავადმყოფობა ...კიდევ უფრო გაძლიერდება, ვი...იდან ქალაქს მეტი სახსარი არ მო...ება რათა კიდევ გააფართოვოს ...რაკი

**ოზურგეთი.**

...ოზურგეთის სამაზრო ერობასთან ...სდგა მეომართა დამხმარე კომიტე... ასეთივე კომიტეტები დაარსდა ...რის ყველა სოფელში, დაბებში. ...ვდაცვის დღეთ გამოცხადებულია ...იანვარი. ამ დღეს გაიმართება მი...ნგები. ილაპარაკებენ თავდაცვის ...იროებაზე და მის სახელმწიფოე...ვ მნიშვნელობაზე. მოკრეფენ შე...წირულებას, ფულით, ნივთებით და ...სათით, რომლებსაც მეომართ ...ონტზე გაუგზავნიან ერობის გან...ერებით დელეგაციის სახელით.

## ...არტიული ცხოვრება.

**...ართველოს ეროვნულ-დემოკრა...ულ პარტიის საგუბერნიო, საქა...ო, სამაზრო და სარაიონო ორ განიზაციებს.**

...ქართველოს პარლამენტის მიერ ...ბული დამფუძნებელი კრების სა...ვნო კანონი შეცვლილ იქმნა. გა...ვეტილია დამფუძნებელ კრების ...ვნები დაჩქარებით მოხდეს.

...მფუძნებელი კრების არჩევნები ...მნულია 14 თებერვლისთვის. ...ოდე კვირის განმავლობაში უნდა ...გენილ იქმნას პარტიების მიერ ...დიდატო სია, ჩვენი პარტია ...კი მოისწრობს პარტიული კონ...ნცის მოწყობას, რომელსაც უნ...ემუშავა საკანდიდატო სია და ...ლა აგრეთვე სხვა პოლიტიკური ...ხები.

...ტომ მთავარი კომიტეტი იძუ...ლია ამ ჟამად მცირე კონფერენ...მოიწვიოს სასწრაფოდ პარტიულ ...ნიზაციათა წარმომადგენლებისა.

...რე კონფერენცია შეიკრიბება ...ისში **კვირას, 13 იანვარს.** ყვე...არტიული ორგანიზაციები გზავ...თითო წარმომადგენელს, ხოლო ...ერნიო კომიტეტები სამს წარმო...ნელს. პარტიული ორგანიზაციე...ულოდ უნდა გამოგზავნონ თავის ...მადგენელნი ქ. თბილისს 13 იან...ვის. კონფერენცია ერთს დღეს ...ბს.

**მთავარი კომიტეტი.**

**...თველოს ეროვნულ-დემოკრა...ულ პარტიის ყველა ორგანიზაციებს.**

...ფუძნებელ კრებას სასწრაფოდ ...ნ და არჩევნები უკვე დანიშნუ...14 თებერვლისთვის.

ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგნენ საარჩევნო სამზადისს.

არჩევნებს ხელმძღვანელობას გაუწევს საარჩევნო კომისიები; რომელნიც დაარსებული იქნება ქალაქებსა და მაზრებში. პარტიულ ორგანიზაციებს ევალებათ დაუყოვნებლივ გაგზავნონ თავისი წარმომადგენელი ამ საარჩევნო კომისიებში.

## საქართველოს პარლამენტში

**3-ს იანვრის სხდომები.**

3 იანვარს წარსდგა მთავრობა საქართველოს პარლამენტის წინაშე თავისი მოხსენებით ომისა და დროებითი ზავის შესახებ. ამ კრებაზე ეროვნულ-დემოკრატ. ფრაქციას შეკითხვა ჰქონდა შეტანილი სომხების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების შეჩერებისა და დროებითი ზავის ჩამოგდების შესახებ. მთავრობის მოხსენება ამ საკითხის შესახებ დღიურს წესრიგში არ იდგა, მაგრამ ვინიადან მთავრობას პასუხი უნდა გაეცა ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციის შეკითხვაზე, მან საჭიროდ დაინახა პარლამენტისთვის დაწვრილებითი წარდგენა.

მთავრობის სახელით ვრცელი მოხსენება გააკეთა საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. გეგეჭკორმა. მინისტრის მოხსენებამ პარლამენტში განსაკუთრებულად ცხარე კამათი გამოიწვია, რომელმაც სამს დღეს გასტანა. ამ საპარლამენტო ბრძოლაში პარლამენტი ორად გაიყო. ს.-დ. ფრაქციის წარმომადგენელნი თავგამოდებით იცავდენ მთავრობის ნაბიჯს სამხედრო მოქმედების შეწყვეტის შესახებ. რასაკვირველია, მათ აქაც ჩვეულებრივის მორჩილებით მხარს უჭერდენ სხვა სოციალისტური ფრაქციები. არა-სოციალისტური ფრაქციები ერთსულოვნად იწუნებდენ მთავრობის მოქმედებას და მოითხოვდენ უარყოფას იმ საზავო პირობისა, რომელიც მთავრობამ დასდო. ეს სასტიკი საპარლამენტო ბრძოლა ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის წარმომადგენლის ს. კედიის სიტყვით იწყება.

განსაკუთრებულის სიმტკიცით, დასაბუთებით და ფრიად დახელოვნებულად წარმოთქმული ს. კედიას ვრცელი სიტყვა მძიმე საბრალმდებლო იქმად გადიქცა მთავრობისათვის. ამის შემდგომ ორი ხანგრძლივი საპარლამენტო სხდომა დასჭირდა მთავრობას, რომ პარლამენტის წევრის კედიას მიერ აღძრულ ბრალდებებისათვის პასუხი გაეცია. ბ. კედიას შემდეგ დაუყოვნებლივ იღებს სიტყვას მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნოე ჟორდანია, რომლის პასუხა საერთო აზრით არაჩვეულებრივად უფერული გამოდგა.

ბ. ჟორდანიის შემდეგ ბ. ირაკლი წერეთელი ამბობს ვრცელს სიტყვას და მოჰყავს მთავრობის დასაცავად ყველა საბუთები, რაც კი გამოიძებნებოდა, მაგრამ ოპოზიციის წარმომადგენელის სიტყვა მაინც შეურყეველი დარჩა. შემდეგ სხდომაზე კამათში მონაწილეობას ღებულობს თითქმის ყველა მინისტრები და ყველა ფრაქციების წარმომადგენელნი. მთავრობის წარმომადგენელთა სიტყვები ისეთს შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს თავს იმართლებდენ და თავის თავს აჯერებდენ თავის მოქმედების სისწორეში.

(დასასრული)

**საგარეო საქმეთა მინისტრი ევ. გეგეჭკორი.**

(ვეშაპელი: რუსეთის ხათრით) მართალია ბათუმთან ვიბრძოდით ცუდად, რადგან ყველასგან და მოკავშირეთგანაც მიტოვებულ საქართველომ ვერ გაუძლო მტერს, მაგრამ განა ეს სისუსტე დანაშაულია? (ხმაურობა) დიდი შეხლა შემოხლის შემდეგ, ჩვენ მივიღეთ ბარათი ადგილობრივ მისიის ინგლისის წარმომადგენლებისთვის, რომელსაც ეხლა წაგიკითხავთ. ბარათის თარიღია 13 ქრისტეშობისთვე. „საქართველოს მინისტრ-პრეზიდენტს. (კითხულობს.) მოქალაქენო, საქართველოს მთავრობა ამ დოკუმენტს სულაც არ აძლევს გადამწყვეტ მნიშვნელობას და ჩვენ ვიცით ფასი ასეთ დოკუმენტებისა. ხშირად ფარატინა ქაღალდად ხდება.

დასამტკიცებელი საბუთი ბევრი გვაქვს. საქართველოს მთავრობა მითაც დაიმედოვნებულია, რომ თავის მხრივ ადგილობრივი აგენტები ინგლისსა დიდ ბრიტანიისა, სიტყვას პირნათლად შეასრულებენ, მართლაც ის ჩვენ შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და ჩვენი ერის თავისუფლებას არ შებღალავს. საქართველოს მთავრობა ფიქრობს, რომ სამართლიანად მოგებულია ინგლისის პოლიტიკა. მისი შინაარსი მოითხოვს იმას რაც აქ სწერია. და ამ მხრივ საქართველოს მთავრობას ჰგონია რომ თუ ადგილობრივი აგენტები ინგლისისა და საზოგადოთ მოკავშირეებისა აღიჭურვებიან სწორედ იმ შეხედულებით, რომელიც აქვს და უნდა ჰქონდეს მოკავშირეებს, ამ შემთხვევაში ქაღალდი უბრალო დოკუმენტად არ დარჩება და ის ცხოვრებაში გატარდება. თავის მხრივ საქართველოს მთავრობა აცხადებს თქვენს წინაშე და ყველა მათ წინაშე ვისაც კი ჩვენი ხმა მისწვდება, რომ ის თავის თავზე აღებულ ვალს პირნათლად შეასრულებს, მხოლოდ იმავე დროს ის ერთ ნატამალსაც კი ხალხის თავისუფლებისას ხალხის ინტერესებისას არ დაუთმობს არავის (ტაში). მე ახლა უნდა გადავიდე მეორე საკითხზე; რომელიც დღეს ჩვენთვის მართლაც საჭირბოროტოა. ჩვენი დამოკიდებულება ომისადმი. მოქალაქენო, როდესაც თქვენი საქართველოს მთავრობა ასე ფიქრობს ამ საკითხის შესახებ. თუ თქვენ ამის გადაჭრას მოისურვებთ, თქვენ არ უნდა დაგავიწყდეთ. ის რაზედაც მე უკვე მოგახსენეთ; ის ორი მოვლენა, გარეშე ძალის აქ შემოსვლას და ამ ომს ორგანული კავშირი აქვთ, მეორე საკითხის გაგება ყოვლად შეუძლებელია, მისი სამართლიანად გადაჭრა. ყოვლად მოუხერხებელია თუ კი თქვენ არ მიაქცევთ ყურადღებას, ანგარიშს არ გაუწევთ იმას თუ რა პირობებში უხდება საქართველოს მთავრობას მუშაობა. საქართველოს მთავრობა სრულიად დარწმუნებულია, რომ ფართო მასსა. ამას სულ ადვილად მიხვდება. შესაძლებელია ზოგიერთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ამა თუ იმ მოსაზრებით. აქ შექმნას ერთნაირი ატმოსფერა ერთნაირი უნდობლობა მთავრობის შიმართ, მაგრამ საქართველოს მთავრობა უაღრესად არის დარწმუნებული, რომ ბოლოს და ბოლოს, ყველა ის როგორც ზედმეტი ჩამოცელდება და დარჩება გაშიშვლებული სიმართლე, სწორედ ამაზედ ვაძლევ მე ჩემ თავს ნებას მიგითითოდ; მთავრობა და პარლამენტი ამ საკითხს გადასწყვეტენ ისე, როგორც ამას ხალხის ინტერესები მოითხოვენ. მათი წინააღმდეგ ამ მხრივ პირველი და მეორე შეეხებოდა ყველა სადაო ადგილებს როგორც ბორჩალოსა და იმ რაიონებისა, სადაც ფაქტიურად ხდება შეტაკება. ასევე ახალქალაქს. მოკავშირეთა რჩევით, უნდა დაგვეცალა როგორც ბორჩალოს, ისე ახალციხეს მაზრა. მათი მოსაზრება არის შარ ეივ: ახალქალაქში—თათრების მოადგილენი დღეს ჩვენა ვართ. დაცლილ ადგილებს ჩვენ ვიჭერთ. საბოლოო საკითხი კი კონფერენციაზე გადასწყდება. ცხადია, რომ მთავრობამ გადაჭრილი უარი უთხრა ამ წინადადებაზე და შემდეგი „ფორმულიროვკა“ გაუკეთა თავის აზრს (კითხულობს 22 და 24 დეკ. დოკუმენტებს). ასეთი იყო ჩვენი პრინციპი. დიდი ბრძოლა იყო ამ საკითხის გარშემო. მთავრობა ბოლოს დათანხმდა სამხედრო მოქმედების შეჩერებაზე სომხის მთავრობამ ჩვენი პირობები მიიღო და 31 ქრისტეშობისთვეს 12 საათზე მთავრობამ სამხედრო მოქმედებანი შეაჩერა. მოლაპარაკება გამართოს მოკავშ. წარმომადგენელთან. სომხების დელეგატები უკვე თბილისში არიან, მაგრამ მთავრობას მათთან ლაპარაკი არ ჰქონდა. ჩვენი ლაპარაკი შეეხებოდა დეპეშაში აღნიშნულ დებულებას. პირველი მუხლი, რომელიც გამოურკვევლობას იწვევდა, გამოიხატებოდა იმაში, რომ ჩვენი ჯარი უნდა გაჩერდეს იქ, სადაც ეხლა სდგას, სომხის მთავრობის შეხედულებით კი ეს ხაზი უნდა ყოფილიყო 25 დეკემბრის ხაზი (ხმაურობა ოჰ), საქართველოს მთავრობამ ამაზე უარი უთხრა და კატეგორიულად განუცხადა, რომ მოლაპარაკებას სწყვეტს. 2. საქართველოს მთავრობა მოითხოვს იმდღესვე სომხების ჯარის უკან დახევას და მართლაც გუშინ დაიწყეს დახევა. სამხედრო შტაბის ცნობით დღესაც იხევენ. თქვენ ხელთ რომ დროებით სამხედრო მოქმედება შეწყვეტილია. მთავრობას ძალიან კარგათ ესმის ზოგიერთი ჯგუფების გულისწყრომა (ხმები ე.-დ. მხრიდან: ყველასი!—ს.-დ. მხრიდან ვინ მოგახსენათ) ეს ადვილად აიხსნება, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ გრძნობა ცუდი საზომია რეალურ პოლიტიკისათვის. ჩვენი მთავრობა მოქმედებს ანგარიშით და ამით ბევრ დადებითს შედეგებს მივაღწიეთ. საქართველოს მთავრობამ შესძლო შემუსვრა ერევნის მთავრობის ავანტიურისაც ისინი უკვე ქედ-მოხრილნი არიან საქართველოს წინაშე, მთავრობამ შესძლო, რომ სომხის ჯარი უნდა თავის საზღვრებში გავიდეს. მთავრობამ შესძლო, დაემტკიცებინა, რომ საქართველო არ იყო ომის გამომწვევი და სისხლის-ღვრა ეხლაც არ ჰსურს. თქვენთვის ნათელია, რომ საქართველოს მთავრობა სულგრძელობას იჩენს და იქ, სადაც ჩვენი ხალხის ინტერესები არ იბღალება, მორიგებით ათავებს საქმეს. უმთავრესად კი გავუწიეთ ანგარიში შექმნილ იმ გარემოებას, რომ აქ სულ ადვილად შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რაც ჩვენ ხალხს თავზე უბედურებას დაატეხდა. ასეთ გზას კი მთავრობა ვერ აირჩევდა და ვერც აირჩევს, სანამ იგი პასუხისმგებელია ხალხის წინაშე. მთავრობამ დაამტკიცა, რომ თუ მეზობელი ერი ან მთავრობა მოისურვებს საქართველოს თავის ნებისყოფა მოახვიოს თავზე, იგი ამის ნებას არავის მისცემს და ამისათვის საკმარისი რეალური ძალა და ხალხის ნდობა აქვს. ამნაირად ეს მოვლენა დამამტკიცებელია იმისა, რომ მთავრობას ხელთ უპყრია კარგად მოწყობილი, კარგად მომქმედი და გამოცდილი სახელმწიფო აპარატი. და ის მოვლენაც, რომ საქართველოს მთავრობა ყველაფერს შესაფერს ანგარიშს უწევს, დამამტკიცებელია იმისი, რომ ჩვენი სახელმწიფო მომწიფებული არის და არავის უფლება არა აქვს და არც საშვაალებარა აქვს ასეთ ფაქტორს, ანგარიში არ გაუწიონ. მართლა ჩვენი მდგომარეობა მეტად ძნელია, ჩვენ მოწყვეტილნი ვართ ევროპას, არა გვაქვს საშუალება ვამცნოთ ევროპას და მის დემოკრატიას ყველა ის უსამართლობა, რომელიც აქ ხდება და რომელიც შესაძლოა კიდევ მოხდეს, მაგრამ ჩვენ უკვე მოგვდის შორეული ხმები იმაზე, რომ დღეს თუ ხვალ ჩვენთვის გათენდება და შეგვეძლება ხმა მივაწვდინოთ შორეულ ევროპასაც. საქართველოს მთავრობას უკვე აქვს ასეთი დოკუმენტი. გუშინ ჩვენ მივიღეთ დეპეშა, სადაც ნათქვამია (კითხულობს) მეორე ტელეგრამა ეს არის მივიღეთ. კითხულობს მხურვალე ტაში.

ამ ნაირად მე ვათავებ, ... ნებას მთავრობა ჰფიქრობს, რომ ასეთ რთულ მომენტში ყოველი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა შეზომილი უნდა იყოს რომ მიზანს მივაღწიოთ. და ამიტომ ისეთი ნაბიჯი, ისეთი პოლიტიკის წარმოება, რომელიც ხიფათს უმზადებს ჩვენს ხალხს, მთავრობას დანაშაულად მიაჩნია და ამისათვის მან სწორედ ისეთი გზა აირჩია, რომელზედაც მე მოგახსენეთ. და ეხლა თქვენ კარგად განიხილეთ და გასინჯეთ და სთქვით შეეძლო თუ არა საქართველოს მთავრობას, თუ ის მართალია მიიღებს სახეში ჩვენი ხალხის ინტერესებს და მომავალს, სხვანაირად ემოქმედნა დღევანდელ პირობებში და თუ არ შეეძლო თქვენ ეს აშკარად და გადაჭრით უნდა სთქვათ (ხანგრძლივი ტაში ს. დ. მხრით)

## მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას სიტყვა

მოქალაქენო! თქვენ მოისმინეთ ოპოზიციის ორატორების სიტყვები, რომლებმაც სასტიკი განაჩენი გამოუტანეს მთავრობას.

მათ სთქვეს, რომ მთავრობამ ჩაიდინა დიდათ სასირცხო და საზარალო საქმე. მათ აქ წარმოსთქვეს მთელი ფილიპპიკა ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი პირობები რომელიც იქმნა დადებული 25 დეკემბერს მათ გაატარეს სასტიკ კრიტიკაში. მაგრამ მე ერთს ვკითხავ აქ სად იყვნენ ეს ფრაქციები და ის პირები რომლებიც აქ გამოვიდნენ მაშინ, როცა ჩვენ ამ პირობებს 25 დეკემბერს ხელს ვაწერდით? ისინი იყვნენ სწორედ იქ და ... მონაწილეობას იღებდნენ ამ პირობების შემუშავებაში (ხმები ეროვნულ დემოკრატების მხრივ: ტყუილია) ბატონი გვაზავა იქ იყო (ხმაურობაა).

**თავმჯდომარე.** უკაცრავად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. პარლამენტის წევრო მიხეილ მაჩაბელო უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. (ხმაურობა მარცხნივ) (მ. მაჩაბელი. ამათაც სთხოვეთ!)

**თავმჯდომარე.** გთხოვთ ბატონო მაჩაბელო, ნუ მასწავლით რადგანაც მეც გამეგება ჩემი მოვალეობა. კეთილ ინებეთ და დამშვიდდით. (მთავრობის თავმჯდომარეს) გთხოვთ განაგრძოთ.

**ნ. ჟორდანია.** მოგეხსენებათ 25 დეკემბერს მთავრობას ჰქონდა სხდომა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად და სწორედ ის ხელები, რომელიც აქ ტაშს უკრავდნენ ბ-ნ კედიას, რომელმაც თავის სააციც აწია. რომელიც ... ბ-ნმა გვაზავამ სწორედ ეს ხელები იყო რომელმაც შეიტანა შესწორება.

**გ. გვაზავა** (ფეხზე დგება). არ არის მართალი, არ არის მართალი!

**თავმჯდომარე.** ბ-ნო გვაზავა! კეთილ ინებეთ და დაბრძანდით. ნუ მაიძულებთ შენიშვნა მოგცეთ.

**ნ. ჟორდანია.** ჩვენ გისმენდით თქვენც, მოგვისმინეთ.

**გ. ვეშაპელი.** ჩვენც ვუყავით ბ-ნო თავმჯდომარე.

**ნ. ჟორდანია.** ბ-ნი ვეშაპელი იყო წინა კრებაზე და არ წარმოუდგენია

## ოქტორტი

არღნის თოვლებში გზა-ჯვარედინი.
მზე—დასიებულ მთავარანგელოზს.
ჯდება გუმბათზე ჯალალ-ედ-დინი.
ბრინჯაოს ჯირითს ამსხვრევს ანჯელო.

ნატისუსალში ამთქნარებს ვატმანს.
ვაგზლის გეიშა ფარნებს ამძიმებს.
და სარაცინი აწივლებს ფატმანს.
ქერა ლოთები ჰსცლიან ბარძიმებს..

ათოვლებული ტორეადორი
ხელსარკიანი დადის გოტიე.
სჭამს სურავანდი და თიადორა.
ჩამპალ ბუზებში ტაძარს გოტიურს

ვერსალზე დარდი მე მილოდინებს.
შუაღამისას მაცმევენ ნიღაბს.
ვილაც მიმზადებს გილიოტინებს.
ჰკბენენ ძაღლები მომავალ იღბალს.

**გ. ლეონიძე.**

## „ალერსის ბაღი“

(უცნობი არაბული პოეტისა)

### 1. სასწაული

უცხო მხარეში, წყეულ მხარეში,
სადაც იწყება საჰარა ცხელი,
ჩვენმა მხედრებმა პირველად იგრძნეს
დამარცხებისა სირცხვილი მწველი.

—

იქ ვერაგულად მოგვეპარა და
თავზე დაგვესხა ურჯულო ჯარი,
დაგვესხა ღამით... ღამით აფთარიც
თავხედია და შეუპოვარი.

—

მოკვდნენ ედდინი, აჰია-აბდ
და ჰაჯი-ამრა—გმირთა ტოლები:
სადაც ლომები იბრძვიან ხოლმე,
პირველ ჰკვდებიან წინამღოლები.

—

ბრძანებით ნიშამ-შეჩვენებულის
დასჭრეს თავები სამივე გმირებს,
მეორე დღესაც ელოდათ კიდე
შეურაცყოფა დახოცილ გმირებს.

—

ცამ სხვა ინება! რადგანაც არ სურდა
თავგასულ ბრბოსა სხვა სანახავი,
ქალაქის ირგვლივ ციხის კედელზე
ჯოხზე აგეს სამივე თავი.

—

აღელდა ხალხი, დაუკრეს ტაში,
ნიშამს იწვევდნენ შეჩვენებულსა,
ის გამოვიდა აივანზე და
ხალხსა მიჰმართა აღტაცებულსა.

—

მაშინ რეჰამის წარდგნენ მოლლები
და მოითხოვეს თავი ედდინის;
აღმოსავლეთით, ციხის კედელზე
დარჭმული იყო აივნის წინ ის.

—

ნიშამს უნდობა მის გადაგდება,
მაგრამ გაშეშდა განცვიფრებული:
ედდინის თავი ცისა ლაჟვარდში
არწივს მიჰქონდა მოტაცებული.

### 2. მხევალი.

მე ის ათჯერ მივატოვე,
ათჯერ ისევ დავუბრუნდი;
ეხლა იცის—ვერსად წავალ,
დავემონე დავძაბუნდი,
და არც მიყვარს: ხვალ რომ მოჰკვდეს,
მოვისვენებ—ჰო ღმერთმანი!—
ისე მწვავს და ისე მდაგავს
მშვენიერი მისი ტანი.

—

იცით—ტანჯვა საშინელი,
ვერ საშველი ვერა-ვერსით—
ქალის ტანს რომ დაჰკვირვებ,
შებღალულსა სხვის ალერსით?!
იცით—ტანჯვა აუტანი,
როცა ხსნისა არ გაქვსთ ღონე,
და გიმონებსთ მხოლოდ ტანი,
საამური, თავმომწონე?!.

—

გუშინ ვცემე!.. წამოვარდა,
წამომეჭრა უცებ წინა,
სიბრაზისა ნაპერწკლებით
თვალი ისე გააბრწყინა,
წამოენთო ისე ლაწვი,
ისე ჰორთოდა მისი ტანი,
რომ მე იხევ გიჟივითა
მის ტუჩებსა ჩავეწანი.

. . . . .

არასოდეს არ ყოფილა
კოცნა ისე მადლიანი.

—

როცა ვჯავრობ—ზმორავს ზანტად;
როცა ბრაზით ანაფეთქი
ვევუბნები—„შენს საყვარლებს
დავუჩეჩქმამ პირსა-მეთქი!“—
შემომხედავს, ჩაიცინებს:
„აი, ეს-ღა მადარდებსო“...
როცა ვყვირი: „თავს სოვიკლავ?“...
—„ვინ მოუვლის შენს ვარდებსო“?..

—

და დღე ჩემი სამარცხვინო
აგრე მიდის... მხოლოდ ველი—
დაჭკნეს მალე, როგორც ვარდი,
მის სიტურფეც სანატრელი.

[illegible]

ბა). (თავმჯდომარე: ბ. გვაზავა, ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ, კიდევ გთხოვთ. ბ. ვეშაპელო! რაკი თქვენ ჩემი თხოვნა არ გესმით, მე იძულებული ვარ რომ შენიშვნა მოგცეთ). ეს, ბატონებო, გახლავთ ფრაქციის დამახასიათებელი, ეს ისეთი გახლავთ ჩვენი ოპოზიცია, და მე ვწუხვარ, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია გვყავს ეხლა, გადავიდეს კითხვის არსებითი მხარეზე, მართლაც დიდი დანაშაული ჩავიდინეთ. მართლა ღირსნი ვართ იმ განაჩენისა, რომელიც აქ დღეს გამოთქვეს. არა, ბატონებო! და აი საბუთები: აქ, ამ ტრიბუნიდან ვეშაპელმა სთქვა, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა დღიურია, ის ხან ერთს ლაპარაკობს, ხან მეორეს, ერთს შვრება დღეს, სხვალ და სხვას და ასეთი მჩატე, მსუბუქ ხასიათის პოლიტიკით სულდგმულობენო. აქ მან ისიც სთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი რალაც ცალკე პოლიტიკას აწარმოებს და თქვენ იცით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი ამ ფრაქციებმა ამოირჩიეს, ეს რამდენიმე ხანია, განსაკუთრებით. აქ უნდა ვსთქვა, არ არსებობს საგარეო სამინისტრო, ან შინაგან საქმეთა სამინისტრო—არის ერთი მთავრობა არის ერთი კაბინეტი. და ის, რაც [illegible]

ქოს ერთი და იგივე დასკვნას დავადექით. მაშასადამე ომი იმისთვის არ იყო საჭირო. არ იყო საჭირო იმისთვის რომ ამ საზღვრების კითხვა გადაეწყვიტა. იყო საჭირო უფრო დიდი საქმესთვის, ის, თუ ჩვენ და სომხების მთავრობა, მოვასწრებდით შეთანხმებას, ეს ნიშნავდა, რომ სომხების მთავრობას უნდა ეცნო ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი დამოუკიდებლობა. ომი იყო საჭირო იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი არსებული აქ წყობილება შემუსრილიყო და ამითი განეხორციელებინად იმას რასაც აქ სწერდენ „ორიზონში" და „აშხატავორში". ამას ვამბობ, არავითარი მტკიცება ამას არ უნდა, ეს ისეც აშკარაა ყველასათვის. მაშასადამე პოლიტიკა დაშნაკელებისა და მთავრობისა იყო მიმართული იმისაკენ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ასე თუ ისე შეებღალათ, მოეშალათ, ესე იგი ისინი ეხებოდენ ამ ძარღვს. იმ ხაზს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და ვიცავთ, შეიძლება ისინიც ფიქრობდენ, რომ თავის საშვალებით მიზანს ვერ მიაღწევდენ, მაგრამ ალბათ ფიქრობდენ: დავინახავთ იმათ, ვინც აქ მოვიდენ, რომ ამიერ-კავკასიაში არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები, იმიტომ რომ მათ ექნებათ ჩხუბი და აყალ-მაყალი. აქტი ომიანობისა, ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის, უეჭველად საბუთია იმისთვის, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა. ეს იყო ერთნაირი პროვოკაცია, იქიდგან წამოსროლილი, და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ არავითარი პროვოკაციას წინ არ წამოვეგებით და მას არ ავყვებით. დაშნაკელების პროვოკაციის აყოლა იქნებოდა მათი საქმეების კეთება. (მაჩაბელი: რაშია საქმე, გამაგებინეთ?) ბატონ მაჩაბელს არ ესმის მაღალი პოლიტიკა, იმიტომ რომ მიჩვეულია სულ სხვა, დაბალ პოლიტიკას (არსენიძე: მართალია). ბ. მაჩაბელს არ ესმის ეს, იმიტომ რომ არასოდეს პოლიტიკურ ასპარეზზე არ უმუშავნია და თავისთავად ცხადია ეხლა, ამ ბოლო დროს, ეს ასპარეზი ისე ადვილი არ არის, რომ ის მან გაიგოს და შეიგნოს. (მაჩაბელი—ვაიმე, ვაიმე) მოითმინეთ ბატონებო, აქამდის [illegible] (მაჩაბელი—მიუთითებს მემარცხენეებს ესენი სულ პოლიტიკოსები არიან?) დიაღ, ბატონებო, ისინი პოლიტიკოსები არიან იმიტომ რომ 20 წელიწადია პოლიტიკურ ცხოვრებაში იწვიან, თქვენ კი ეხლა გამოდიხართ. (გაბაშვილი პოლიტიკა მარტო ქუჩებში კი არ კეთდება) მარტო ბანკებში...

**თავმჯდომარე.** უკაცრავათ, კიდევ იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

**ნ. ჟორდანია.** ერევნის მთავრობის უმთავრესი მისწრაფება მიმართული იყო იქითკენ რომ დაემტკიცებინა ინგლისელებისთვინ, ფრანგებისთვინ, მთელი ქვეყნისთვინ, რომ აქ თუ დარჩა საქართველოს, ან სომხეთის დამოუკიდებლობა, ისინი მუდამ ომში იქნებიან და მაშასადამე ასეთი დამოუკიდებლობა უნდა იყოს მოშლილი და ეს ისე აშკარა საბუთი არის, რომ ჩამოსულმა ინგლისელმა გენერალმა პირდაპირ გვითხრა. „თქვენ ამბობთ, რომ თქვენ გინდათ დამოუკიდებელი საქართველო ჩვენ ომი გავათავეთ, ამ ომში ჩვენ ამოდენა ხალხის სისხლი ვღვარეთ, და თქვენ არ შეგიძლიანთ იქონიოთ დამოუკიდებელი სახელმწიფო. ბბ. ეს ისეთი აშკარა ფაქტია, ეს ისეთი საბუთია, რომ ამ საბუთის წინაშე ვერავინ ფილიპიკებით და ლამანტით რომელიც აქ ვერას გააწყობს (ხმაურობა: ვეშაპელი: ჯამალიანი).

**თავმჯდომარე** მე კიდევ გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ, ბატონო ვეშაპელო, ხელმეორეთ შენიშვნას გაძლევთ.

— მე ურჩევ ბ. ვეშაპელს, რომ მან მიჰბაძოს ჯამალიანს და ისე დაიცვას თავისი მთავრობა, როგორც ის იცავდა ერევნის მთავრობას.

აქ ჩვენ გამოგვიცხადეს უკვე ოფიციალურათ და დღეს, გაგვიმეორეს სხვათა შორის რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ გადაწყდება. გადაწყდება ის პარიზში, თქვენი საზღვრები, სად იქნება ან თქვენი არსებობა,— ამას ვერც ომი გაუაწყვეტს, ვერც ზავი აილეთ თქვენ თუ გინდათ ერევნის გუბერნია ეს არ ნიშნავს რომ თქვენ დაგრჩებათ ერევნის გუბერნია. ან წაიღოს სომხებმა რომელიმე მაზრა ან რომელიმე კუთხე, ეს არ ნიშნავს რომ იმათ დარჩება. ამის სამსჯავრო არის იქ პარიზში აქ კი წარმოდგენაა ისეთი თითქოს ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ საქართველო და სომხეთი სწყვეტენ დამოუკიდებელათ. თავის კითხვებს ბატონებო, ეს ასე არ გახლავთ. საქმე ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, თავისთავათ ცხადია, ჩვენ შეიძლება სხვა გზა მოგვენახა, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ჩვენი საბოლოო სვე-ბედი სწყდება იქ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან აქედან ვაწარმოვოთ ისეთი პოლიტიკა რომელიც ხელს შეგვიწყობს იქ ჩვენ სვე-ბედი ჩვენ სასარგებლოდ გადაწყვეტას. აქ სთქვეს ბატონებო, რომ ჩვენ იქაური დიპლომატია არ ვარგა, მაგრამ იქაური, საგარეო დიპლომატია კარგიაო. საგარეო დიპლომატია ვერაფერს ვერ გააწყობს თუ ჩვენ არ მივეცით საბუთი აქედან თუ ჩვენ მოქმედებას, ჩვენ საქმიანობას, ჩვენ პოლიტიკას არ ექნება ისეთი საფუძველი, რომელზედაც დაემყარება აი იქ ჩვენი დიპლომატია და მე ვამბობ, რომ ომის საკითხი, ისე როგორც ზავის საკითხი,—ჩვენ ამ კითხვას ვუმორჩილებთ პოლიტიკურ მიზნებს, თუ ეს საშუალება აძლიერებს თუ ასუსტებს ჩვენ სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობას იქ ცნობას, მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ეს ნიშნავს ჩვენი დამოუკიდებლობის ერთი ლახვარის ჩაცემას, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ იქ მართლაც საქმით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ არ გვდომებია მშვიდობიანად საქმის მოგვარება, ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი სახელმწიფოს მოვლა და სხვა მეზობლებთან ასე თუ ისე მეზობლური განწყობილების შენახვა და აი, ბატონებო, ვინც ჩვენს წინააღმდეგ გამოდიან, ვინც ამბობს, რომ ომიანობა არ უნდა შეგვეჩერებინაო, იმას უნდა ეთქვა და დაემტკიცებინა, რომ ეს ომის შეუჩერებლობა ხელს შეუწყობს დამოუკიდებლობის ცნობას და გააძლიერებს ჩვენს ქვეყანას (მაჩაბელი, რაზე ლაპარაკობთ?) ასეთი საბუთი არც უთქვამთ, არც მოუყვანიათ. საქმე იმაშია, რომ თქვენ ილაპარაკეთ იმაზე რაზედაც არ უნდა გელაპარაკნათ, და არ ილაპარაკეთ იმაზე, რაზედაც უნდა გელაპარაკნათ (ტაში).

როცა მთავრობა დარწმუნდა იმაში, რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ [illegible], მაშინ ომს დაეკარგა თავისი მიზანი, ომს არ დაურჩა არავითარი პერსპექტივა. მიდიხარ წინ და რისთვის, ვისთვის. როდესაც პერსპექტივა, მიზანი არ აქვს არც მთავრობას, არც ჯარს, მაშინ ომის წარმოება არ შეიძლება (გაბაშვილი, რათ დაიწყეთ?) თუ, ბატონებო, იმას ფიქრობთ, რომ შეიძლება ეს მთავრობამ იცოდეს, ხოლო ჯარი მაინც უნდა წასულიყო წინ და ებრძოლა—ეს ნიშნავს დიდი დანაშაულობის ჩადენას. ჩვენ ვაფასებთ დიდათ იმას, რომ უმიზნოთ და უსარგებლოთ სისხლი არ უნდა იღვაროს. პერსპექტივა ჩვენ აღარა გვქონდა, რომ ომის საშუალებით ჩვენ მივაღწევთ რამეს, და მაშინ ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა არც მორალური, არც პოლიტიკური, რომ გვეთქვა ჯარისთვის—წადი, იბრძოლეთ (ამ—25 შემდეგ რომ შეუტიეთ). 25 შემდეგ სომხეთის მთავრობა არ იყო თანახმა, ის გახდა თანახმა მის შემდეგ, როცა შეუტიეთ და დავამარცხეთ (მაჩაბელი, თქვენ ხომ დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით, გჯერათ ესა?) იმედია, რომ თქვენც დაიჯერებთ ამას ბატონო, აი, ბატონებო ის სალი პოლიტიკური ანგარიში, რომლითაც მთავრობა ხელმძღვნელობს და ხელმძღვანელობდა მაშინ, როცა მან შეაჩერა ეს ბრძოლა. ეს არ ნიშნავს, თავის თავად ცხადია იმას, რომ ჩვენ უნდა დავყაროთ ფარხმალი და უნდა ვიძინოთ ბალიშზე. ჩვენ ისევე საქმე გვაქვს ერევნის მთავრობასთან და იქ ხელმძღვანელ პარტიას. ჩვენ მუდამ გვექნება საფრთხე იმ მთავრობისაგან, სანამ იქ გაბატონებული დაშნაკელების პარტია. მაგრამ მე ვამბობ, ჩვენ არ უნდა ავყვეთ სწორეთ ამ პარტიას და მის პროვოკაციას. თუ ამ პარტიამ შესძლო ჩვენი გადაყვანა თავის მეთოდზე, თავის გზაზე, თუ მან შესძლო თავს მოგვახვიოს ბრძოლა, მაშინ იცოდეთ ჩვენ ვიქნებით დამარცხებულნი საბოლოოთ, ზნეობრივ და პოლიტიკურად... (მაჩაბელი, აკი თქვენ თანახმათ გადაწყვიტეთ? **თავმჯდომარე:** უკაცრავათ, ბატონო მაჩაბელო, სადა გგონიათ თქვენი თავი? უკაცრავათ ამ კითხვაზე, მაგრამ მე იძულებული ვარ ასეთი კითხვა მოგცეთ). ბატონებო, ჩვენ არ ავყევით იმ მთავრობის პროვოკაციას, ე. ი. ჩვენ არ მოვიმოქმედეთ ისე, რომ ევროპას დაენახა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შეუძლებელია, აქ არის

მაშასადამე ისეთი მოქმედება, რომელიც იქიდან ჩვენ გვიკარნახებს და ჩვენ ძალაუნებურათ გავყევით, მაგრამ ჩვენ შევჩერდით დროზე, და ამ ჩვენმა მოქმედებამ უფრო გააძლიერა უფრო მეტი საბუთი მისცა ყველა იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ერთობა და მისი დამოუკიდებლობა იქმნეს ცნობილი. აი ეხლა დაშნაკელთა პოლიტიკას, რომ გავყოლიყავით ჩვენი დამოუკიდებლობა იქ საერთაშორისო ტრიბუნალზე ჩავარდებოდა დიდ საფრთხეში. ჩვენ ვიცავთ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ ვიცავთ საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას. აქ ერთმა სთქვა, მგონი ეს იყო ბატ. ს. კედია, რომ საქართველოში ვერ მოვითმენთ სხვა ნაციონალურ ზრახვებსო. (კედია: —პოლიტიკურ ზრახვებს საქართველოს წინააღმდეგ ეს იყო ჩვენი აზრი)... ეს არის ჩვენი პოლიტიკაო, მე მაგაში სრულიად ვეთანხმები ს. კედიას, არ შეიძლება სახელმწიფოში იყოს მეორე სახელმწიფო. მაგრამ მე უნდა ვკითხო რა საშუალებით სურს ბ. კედიას, ეს საქმე ასე მოაწყოს, რით სურს, რომ საქართველოში მართლა არ იყოს სხვანაირი ჩვენი სახელმწიფოს წინააღმდეგ ზრახვები და მიმართულებები ეს ალბათ ფიქრობს რომ უნდა ავიღოთ ჩვენ ხელში მაგარი კეტი და თავზე დავცხოთ სუყველას, ვისაც ასეთი ზრახვები აქვს. (ხმა მემარჯვენეებისაგან: არ არის მართალი).

(შემდეგი იქნება)

## „ტრფობა წამებული"

10 იანვარიდან ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ვასილ ბარნოვის დიდი ისტორიული რომანი: „ტრფობა წამებული".

ჩვენს ლიტერატურაში მრავალი ბანალური და უპიროვნო ხალხია. ბარნოვი მათ არ ეკუთვნის. ის თავისებური მწერალია, რომელსაც ახასიათებს ინტიმური სიახლოვე სახეებთან ცივი რეალიზმი და ქრისტიანული მისტიკა, ამაზე შემდეგ.

სიჟეტი მე-IX საუკ. აშოტ რომანის დიდის ცხოვრებიდან. რომანში—ბრძოლა ეკლესიისა სამეფო ტახტთან. რომანის ფონი—სარაცინთა ბრძოლა აშოტ დიდთან.

მე-VIII საუკუნეში არაბეთის ხალიფატის ჰანგებმა ჩაახრჩეს ქრისტიანი სახელმწიფოები წინა აზიაში და ჩრდილო-აფრიკაში.

არაბეთის ხალიფატი ბიზანტიას დაუდგა პირის-პირ. საქართველო ამდროს მოწინავე გოდოლია, რომელსაც ემსხვრევიან არაბთა ურდოები.

არაბეთს უნდა საქართველოში გაუ-ლესოს ხანჯალი მიხდილ ბიზანტიას. ბიზანტიამ ეს იცის და ამაგრებს საქართველოსაც, მაგრამ საქართველოს ვერ უწევს იგი დახმარებას. საქართველო თვითონ იცავს თავს და ბიზანტიასაც აფარებს ჩაჩქანს. ბრძოლა მაინც მწვავდება. ურდოები შავი ჭირივით ედებიან საქართველს საზღვარს.

აზვინებულ სარაცინების წინააღმდეგ გამოდიან საქართველოს ჩუმი რაინდებიც: გრ. ხანძთელი და დედა თებრონია.

ქრისტიანობა ჰქმნის მოწინავე ციხეებსდა მებრძოლ რაზმებს—ეს დედათა და მამათა მონასტრები შავშეთ-კლარჯეთში.

აშოტს ესმის ეს კარგად და დახმარებას უწევს მათ. პირადი სულისკვეთება დიდი აშოტისა: ეს მისი პირადი მისწრაფება ეწინააღმდეგება მის ოჯახის სიწმინდეს კერას ქრისტიანულ ზნეობაზე დამყარებულს.

სჯულის რაინდები სცდილობენ აშოტს და მის ოჯახს ეს რყევა აავილონ. წინააღმდეგობა აშოტისა პირადულ მისწრაფების [illegible] ქრისტიანულ იდეისა. ამ ნიადაგ[illegible] და ეკლესიისა. ბრძოლა გადატანილია აშოტის პირად ცხოვრებაში. ტრაგიკული მდგომარეობა აშოტისა და მისი მისწრაფების საგნისა. ბრძოლის დროს ტრაგიული ფინალი ამ ბრძოლისა.

რომანის პირველი ნაწილი—ფონი, ნიადაგი, მეორე მთავარი ნაწილი ფსიხოლოგიურად განვითარებული და დასრულებული.

რომანი ისტორიულ საბუთებზე არის აკვეთილი.

## [illegible]

### სოფ. სტეფანწმინდა

29 ქრისტეშობისთვეს ყაზბეგის სათეატრო დარბაზში კომ. ალ. ფიცხელაურმა მოიწვია ქვემო-ხევის საზოგადო კრება. კრებას ხალხი ბლომად დაესწრო; კრების მიზეზი იყო სამხედრო ბეგარის გადახდა იმ პირთა, რომელნიც დაბადებულნი იყვნენ 1892—1896 წლებში, აგრეთვე ცხენ-ურმების გაწვევა სამხედრო საჭიროებისათვის. კრებაზე როგორც კომისარ ფიცხელაურმა ისე ლარის სამხედრო გზის რაზმის პოლკ. წერეთელმა ხალხს აუხსნეს, რამაც გამოიწვია ქართველ-სომეხთა ომი; კრებას თავმჯდომარეობდა მღვ. ბართლომე ღუდუშაური. ხალხი ამ მობილიზაციას, როგორც მოსალოდნელი იყო აღფრთოვანებით მიეგება და დიდი სურვილი განაცხადა სამშობლოს მტერთან ბრძოლისათვის. მრავალი თავის იარაღით და ცხენ-ურმით მოხალისეთ ჩაეწერა. ამასთან კრებამ ხელის მოწერით ომის საჭიროებისათვის შეაგროვა 7,000 მან. (1 საათში).

საგულისხმო ის იყო, რო რაწამს ომი გამოცხადდა იმავ დროს კავკავიდან ბოლშევიკების 4 როტა შემოიჭრა დარიალის ხეობისკენ და ზარბაზნები და ტყვიისმფრქვევლები მოამზადა დარიალზედ გამოსალაშქრებლად. სოფლებმა თვითონ გაამაგრეს ადგილები და მტერს განზრახვა გაუცრუვეს.

**კალმისწვერი.**

## თეატრი და მუსიკა

**დრამა „ტარტო".** სამშაბათს, სალამოთი, მხიარული კომედია ფარსი „ქალები და ღვინო". ხუთშაბათს, მ. პერსიონის ბენეფისი „პომპეის დანგრევა".

**სანდრო შანშიაშვილმა** ჰსთარგმნა ემილ ვერჰარნის დრამა: „ელენე სპარტანელი".

## შემოწირულებანი

გაზეთ „საქართველო"-ს რედაქციას, ამასთან ვაახლებთ 3,450 მანეთს რომელიც შემოსწირეს ვერა ზოდელავას დაკრძალვაზე (2 იანვარს, 1919 წ.) დამსწრეებმა სომხებთან ომში მოკლულ და დაჭრილ ქართველ ჯარისკაცთა და გვარდიელთა ოჯახების სასარგებლოდ. შემომწირველნი: ანჯაფარიძე—1000 მან., ლ. ზოდელავამ 1000 მან., სერ. კაკაბაძემ 250 მან., სერ. მამაცაშვილმა 250 მან., ამბაკო ჯინორიძემ 250 მან., პ. ქაცარავამ 200 მან., მაქს. ზოდელავამ 100 მ., სერაპ. ზოდელავამ 100 მ., ბეგლარ გვათუამ 100 მან. ნიკ. ლომიძემ 50 მ., მიხ. მესხმა 100 მან., დიმიტ. გოგიტიშვილმა 50 მან., გ. სამხარაძემ 50 მან.

აქვე აღვნიშნავ, რომ გარდაცვალებულის მეუღლემ ივავე ანტონისძე ზოდელავამ შესწირა ს. კოდას ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოთ ათასი მანეთი რომელიც გადაეცა ბ. დ. გოგატიშვილს, მანვე შესწირა დაბა სამლებროს ქალთა სასწავლებელს განსვენებულის ახალი პიანინო.

**ლეონტი ზოდელავა.**


**გ. მ. კ[illegible]ზ[illegible]კის ფოტოგრაფიში**

გაიხსნა **სტუდია** მხატვრულ სურათების შესასრულებლად

სურათები შესრულებული იქნება, ზეთის (აკვარელის) და სხვა და სხვა საღებავებით. მხატვრულ შესრულების მხრით ფოტოგრაფია სრულ პირობას იძლევა. ფოტოგრაფია ღია 9 ს. 5 ს. (ერევნის მოედანი—სოლოლაკი).

(10—85—8)

**ქ[illegible]თვ[illegible]ლ[illegible] ვაჭ[illegible]რნო და მრეწველნო!**

**თქვენი ს[illegible] მშობლო განსაცდელშია.** უდიდესი ხიფათი მო[illegible]ლის თქვენს ერს, თქვენს მამულს, თქვენს თავსა და ოჯახს. ყველა ქართველ ვაჭარი და მრეწველი მოვალეა ყველაფერით დაეხმაროს მთავრობას ომის საქმეში და თავისი ვალი მოიხადოს წინაშე სამშობლოსი.

თბილისის ქართველ ვაჭარ-მრეწველთა ყრილობამ იმსჯელა ამის შესახებ და დაადგინა: 1) შეგროვილ იქმნეს ქართველ ვაჭარ-მრეწველთა შორის 10 მილიონი მანეთი; 2) დაიყოს საქართველო ვაჭართა რაოდენობის მიხედვით რაიონებად და თითო რაიონს გაეწეროს ხვედრი თანხა; 3) ფულის გადახდა ყველასთვის სავალდებულოა; 4) შეგროვილი ფული უნდა შეტანილ იქმნეს ამიერ-კავკასიისა ან სამეურნეო ბანკებში თბილისში.

**ფულის შემკრები მთავარი კომიტეტი.**

(7—89—5)


სტამბა „ცხოვრება" ა. კილანდაძისა, გამგეთის შესახვევი № 1.